ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 271. კვირა, 3 აპრილი 1911 წ. დამატების № 47

„ქრისტეს ვნებათა“ წარმოდგენები

გოეტეს, შილლერის, ბეტხოვენის და სხ. სამშობლო ბავარიის სამხრეთ ნაწილში, შესანიშნავ ქალაქის მიუნხენის მახლობლად მდებარეობს სოფელი „ობერამერგაუ“, რომელიც ყოველ ათის წლის თავზე ათასობით იზიდავს სხვა და სხვა ქვეყნის მოგზაურებს. ამ სოფელში შენახულა საუცხოო ძველი წესი,—ყოველ ათი წლის თავზე, ვნების კვირაში, აქ იმართება საშუალო საუკუნოების სასულიერო წარმოდგენები, რომელშიაც დასახულია იესო ქრისტეს დაბადება, წამება და აღდგომა და რომელსაც სახელად „ობერამერგაუს მისტერიები“ ეწოდება. ერთი ასეთი წარმოდგენა გაიმართა შარშან, 1910წლის აპრილში. და წლის თავზე ჩვენც ვეცდებით მკითხველს გავაცნოთ ამ საუცხოო მისტერიების ისტორია.

სურ. 1. სოფელი „ობერამერგაუ“ თეატრით.

სოფელი „ობერამერგაუ“ მდებარეობს მთაგორიან ადგილას, მიუნხენიდან ორი საათის სავალზე. მიუნხენიდან სადგურ „მაურნაუმდე“ 60 ვერსის მანძილზე გაყვანილია რკინის გზა, რომელიც იკლაკნება შტარნბერგის ტბის საუცხოო კიდეზე. რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ გაყოლებულია ერთსართულიანი თეთრი სახლები,—მიუნხენელების აგარაკები. მაურნაუდან „ობერამერგაუმდე“ მიდის ელექტრონის რკინის გზა. ამ სოფელს შორიდანვე არჩევს კაცი მაღალი სამრეკლოთი და ვეებერთელა მოუხეშავი შენობით. ეს შენობა არის „ობერამერგაუს“ თეატრი, რომელიც წარმოდგენების დროს მუდამ გაჭედილია ხალხით. (სურათი № 1)

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო ხანებში ეს წარმოდგენები დიდ ფულს იძლევა, ობერამერგაუს თვითოეულმა მცხოვრებმა იცის რამე ხელობა, და როდესაც წარმოდგენები არ არის, მუშაობს კიდეც. მაგალითად იესო ქრისტეს როლის აღმასრულებელი, ანტონ ლანგი, მეთიხეა. (სურათი მე-2). გუნდის ლოტბარი, იაკობ ბუ[illegible]ციკი ნალბანდია და სხვა. თუმცა, როგორც ხელოსანი, ისინი განთქმული არიან უფრო საღმთო წერილის შინაარსის ხის ქანდაკებებით, ვიდრე სხვით. იმათი ამოკვეთილი ხატები საზელგანთქმულია არამც თუ ბავარიაში, არამედ გერმანიის საზღვრებ გარეშეც კი. როგორც ზევითა ვსთქვით, ათი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ იმართება წარმოდგენები. დანარჩენი დრო კი „ობერამერგაულები“ ხელობით არიან გართული. მაგრამ აქაური ცხოვრების დედა-ძარღვი მაინც წარმოდგენებია. ობერამერგაუელს ვერ წარმოუდგენია თავისი სოფელი უმისტერიებოდ, უთეატროდ. მთელი „ამერგაუ“ ცხოვრობს ხუთიდან ხუთ წლამდე: ხუთი წელი —წარსულით (წარმოდგენის გახსენებით) და ხუთი წელიც —მომავალით (წარმოდგენის მოლოდინში). რამ გამოიწვია ობერამერგაულებში ასეთი რელიგიოზური სიმტკიცე, რომ მათ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არ შეუცვლიათ ძველად ნაანდერძევი, ან რად შეიქნა პაწაწა სოფელი საქვეყნოდ ცნობილ წარმოდგენების ბუდედ?

***

მისტერიების პირველი კვალი იკარგება მე-XVI საუკუნის სილრმეში. თითონ სოფელი ამერგაუ კი მე-VIII საუკუნეზე ადრე არსებობდა. ჯერ ეხლაც შეიძლება კაცი აქაიქ შეხვდეს სოფელს ლათინური სახელით. პირველი საბუთი —ლეგენდა, ეკუთვნის მე-IX საუკუნეს. ეს მშვენიერი, სა-

სურ. 2. ქრისტეს როლის აღმსრულებელი ა. ლანგი ოჯახით.

შუალო საუკუნოების საუცხოვო ელემენტებით მოქარგული ლეგენდა ამბობს შემდეგს:

ძველად ამ არე-მარეს ჰფლობდა მედიდური რაინდი ეტიკო. იგი უძლეველად სთვლიდა თავს, რადგანაც იმედი ჰქონდა თავისი ურიცხვი ჯარისა და ღონიერ მოკავშირეების. ეტიკო მეფესაც არ ემორჩილებოდა, რადგანაც იცოდა, რომ იგი ვერაფერს დააკლებდა. ამიტომ თავის თავს მეფის თანასწორადა სთვლიდა. მის სიამაყეს თავზარი დასცა მისავე შვილის ულირსმა ქცევამ, მისი წმიდათა წმიდა—სახელი შებღალა შვილმა, რომელიც ფულის გულისათვის გადაიცა მეფეს. მედიდურ გველფს ბოლო მოუღო ამ ამბავმა. წამსვე მოსცილდა ეტიკო ქალაქის ხმაურობას და სიცოცხლეს. თორმეტი საუკეთესო რაინდით გადიხიზნა მთებში. აქ მოსძებნა საუცხოვო, დაბურული ტყით გარსშემორტყმული ჭალა: ჭალის შუაგულ ჩამოდიოდა მთის მდინარე „ამგერი“. აქ ნადირობაში აყოლებდა გულს და იქარწყლებდა სეკდას. იმის სიკვდილის შემდეგ ამ ჭალას დაერქვა „ეტიკოს ჭალა“. თორმეტმა რაინდმა კი, რომელნიც ეახლენ ეტიკოს, ამავე ჭალას შემდეგში „ამმერვილდის“ მდინარის პირას ააშენეს სოფელი, და მას მდინარის სახელი დაარქვეს. მდინარეს კი „ამმერი“ ერქვა. ასე წარმოსდგა სოფელი „ამმერგაუ“. საერთოდ ობერამერგაუს მცხოვრებლებს ყველაფერში ემჩნევათ ღვთაებრიობისაკენ მიდრეკილობა, რაც, სხვათა შორის, მისტერიების წარმოდგენებშიც გამოიხატა. როგორც წინედა ვსთქვით, ასეთი წარმოდგენები მეტად გავრცელებული იყო, მეტადრე ბავარიაში. საიდან წარმოსდგა მისტერია „ვნებანი ქრისტესი“. გადმოცემა ამბობს, რომ 30 წლის ომის დროს *), როდესაც ბავარიას აწიოკებდენ შვედები, „ობერამერგაუს“ ეწვია ახალი სენი—შავი ჭირი. ობერამერგაულელები შიშის ზარმა შეიპყრო. დღე ისე არ ყავიდოდა, საზოგადოებას რამდენიმე წევრი არ დაჰკლებოდა. როგორც მორწმუნე ხალხს შეეფერის, აქაურებმაც ღმერთს მიმართეს და აღთქმა დაუდეს, იესო ქრისტეს წამების სახსოვრად ყოველ ათის წლის თავზე წარმოადგენენ „ქრისტეს ვნებას“. ამ დღიდან, ვითომც, შესწყდა სენის მძვინვარება. თუმცა ავად ბევრი იყო, მაგრამ აღარავინ მომკვდარა, ყველანი მორჩნენ. პირველად ასეთი წარმოდგენა 1634 წელს გაიმართა და მას შემდეგ ყოველ ათი წლის განმავლობაში ერთხელ მეორდება. ასეთია ძველი თქმულება.

მე-XVII საუკუნის მეორე ნახევრამდის ასეთივე წარმოდგენები იმართება ბავარიის სხვა ადგილებშიაც, სანამ მე-XVIII საუკ. დასაწყისში მათ ყურადღება არ მიაქცია სამღვდელოებამ. „საკადრისი არ არის,—ამბობენ ისინი—რომ ულრმეს საიდუმლო ჩვენი წმინდა სარწმუნოებისა სცენაზე წარმოსადგენად გადაიქცეს“. მაინ ზეგავლენით მთავრობამ ობერამერგაუელებს წარმოდგენის გამართვის ნება აღარ დართო. ბევრსა სცდილობდნენ მცხოვრებნი, რომ ეჩვენებიათ უსაფუძვლობა ასეთი განკარგულებისა, ტყუილად უთითებდენ საუკუნოებით შექნილ ტრადიციაზე, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, რადგანაც მთავრობა სამღვდელოებაზე უთითებდა და სამღვდელოება კი თავისაზე იდგა. დროთა ცვლილების მიხედვით ხანდახან აქა-იქ მაინც იმართება ასეთი წარმოდგენები. ობერამერგაუელებიც სარგებლობენ მთავრობის გამოცვლით და 1788 წელში, როდესაც სხვა ადგილებში უკვე თავი მიანებეს ცდას, ობერამერგაუელებს მაინც აქვთ წარმოდგენების გასამართავათ ნებართვა. შემდეგ მთავრობამ კვლავ აღუკრძალა მათ წარმოდგენების მართვა, მაგრამ ობერამერგაუელების ფანატიკოსობამ მაინც თავისი ჰქნა და ამ ჩვეულებამ ჩვენამდისაც მოაღწია. პირველი წარმოდგენები უფასო იყო. მაგრამ სოფლის საზოგადოება არც ისე მდიდარი იყო, რომ წარმოდგენებისათვის საჭირო ხარჯი თვით ეზღო, ამიტომ 1726 წელს, მაყურებელთ პირველად ართმევენ შესასვლელ ფასს, თუმცა ამ ფასის სიმცირის გამო, საზოგადოება თავისას მაინც ორს იმდენს ადებდა. როდესაც გამოირკვა, რომ ესეც არა კმარა, შესასვლელ ფასს აუწიეს, წარმოდგენებიც გაიმეორეს. საქმე კარგად წავიდა მხოლოდ 1840 წელს, როდესაც წარმოდგენებს დაესწრო 50.000 მაყურებელი. აქედანვე იწყება ამ საუცხოვო მისტერიებზე მატერიალიზმის გავლენა. მისტერიები ჰკარგავენ წინანდელ ხასიათს. ვეებერთელა სასხვერპლო—თეატრად გარდაიქცა, მისი ქურუმები აღარ მღვდელმოქმედებენ, არამედ თამაშობენ.

1850 წლიდან, წარმოდგენებით დაინტერესებული მწერლებისა და ჟურნალისტების შემწეობით თანდათან იზდება ამ პატარა სოფლის სახელი. ხალხი ათასობით ეტანება წარმოდგენებს. ასე რომ: 1880 წლის წმინდა შემოსავალი იყო 255000 მარკა *), 1890 წ.—488,000 მარ., 1900 წ.—306,000 მარ. და 1910 წელს კი საერთო შემოსავალი იყო—1.704,600 მარკა, მხოლოდ წმინდა—1.369.428 მარკა. წმინდა შემოსავალი, საზოგადო საქმისთვის გადადებულ თანხის გარდა, გაიყვეს ერთმანეთ შორის 865 მონაწილემ.

მისტერიის სიუჟეტს შეადგენს სახარების ტექსტი ბზობიდან ამაღლებამდე. მხოლოდ მას დრამატიული ფორმა აქვს მიცემული. შენახულა ბევრი სხვა და სხვა ხელნაწერი; ყოველ მათგანს ერთი და იმავე უძველეს დედანის ზეგავლენა; ეტყობა ამ დედანის ავტორი კი ჯერ გამოუცნობლად რჩება. 1861 წელს გამოვიდა მშვენივრად გამოცემული ტექსტი, მხოლოდ იგი ძლიერ მოუხეშავი ენით იყო დაწერილი და ეიგ ბევრი ისეთი ადგილია, რომლის გამოც წინააღუდგა მის წარმოდგენას სამღვდელოება. საჭირო იყო მისი გადაკეთება და სასცენოდ შესწორება, რაც მშვენივრად შეასრულა აქაურმა მღვდელმა **დაიზენბერგერმა** 1850 წელში. გუნდისთვის საჭირო მუსიკა კი დასწერა აქაურმავე მასწავლებელმა **დედლერმა**. დაიზენბერგერის მიერ შემუშავებული ტექსტი თვალსაჩინო გამიდგა, რადგანაც იქიდან გამოტოვებულია მორწმუნეთათვის არა სასიამოვნო ადგილები და ჩამატებულია ახალი მოქმედების სწორ განვითარებისათვის საჭირო სცენები. ყოველ მოქმედებას წინ მიუძღვის პროლოგი, რომელსაც ასრულებს გუნდი, და ცხოველი სურათები. გუნდი ხსნის მოქმედებაში გამოსახულ ამბებს და უკავშირებს მას ძველ აღთქმის წინასწარმეტყველებას. ამის ილლიუსტრაციად კი ცოცხალი სურათებია პროლოგისა და გუნდის ტექსტი ლექსით არის დაწერილი, დანარჩენი ნაწილი მისტერიისა კი—პროზით. ტექსტის შესაფერად მოწყობილია სცენაც.



სურ. 3. ცოცხალი სურათი: პირველ ადამიანის სამოთხიდან განდევნა.

*) ოცდა ათის წლის ომი (1618-დან 1648 წლამდე) გამოწვეული იყო კათოლიკებსა და პროტენტანტების ერთმანეთისადმი მძულვარებით. შვეცია ჩაერია ამ ომში თავის ინტერესების დასაცველად, რადგანაც მას სურდა ბალტიის ზღვის ფლობა. ამ ომმა ძლიერ დაასუსტა გერმანია და დააქვეითა მისი კულტურა.

*) მარკა—47 კაპიკს უდრის.

სურ. 4. ბზობა. ბავშვების გუნდი ჰგალობა „ოსანას“.

სურ. 5. მღვდელ-მთავრები ანნა და კაიაფი.

თავდაპირველად მოქმედება სწარმოებდა სასაფლაოზე. მაგრამ რაც უფრო მეტი ხალხი ეტანებოდა წარმოდგენებს, მით უფრო შეუძლებელი ხდებოდა აქ წარმოდგენების მართვა ვიწროების გამო. ამიტომ 1830 წელს წარმოდგენები გადაიტანეს იმ ადგილას, სადაც ეხლა თეატრია. მაყურებლები პირდაპირ ცის ქვეშ, გადაუხურავ ადგილას, ისხდნენ. გაავდრების შიშის გამო თან მოჰქონდათ ქოლგები და წამოსასხამები. მხოლოდ 1900 წელს გააკეთეს დახურული შენობა და ადგილები იწყება სცენიდან და ამფითეატრად ადის სცენის პირდაპირ გამართულ ლოჟებით. თეატრში სინათლე შემოდის ჭერში დატოვებულ ნახვრეტით, რომელიც წვიმის დროს იხურება. გარდა ამისა, სცენასა და დარბაზის შორისაც დაუხურავი ადგილია დატოვებული. სცენის სიგანე თითქმის 20 საჟენს უდრის; იგი შესდგება 4 ნაწილისაგან; ვეებერთელა ავანსცენის სიღრმეში მოთავსებულია შიგნითა დახურული სცენა, რომელსაც გვერდებზე უვლის იერუსალიმის ორი ქუჩა; შიგნითა სცენას აქვს მოძრავი ფარდა და ავდრისაგან დაფარულია სახურავით. სცენის დანარჩენი ნაწილები გადაუხურავია და მაყურებელთაგან არ არის გაყოფილი ფარდით. ავანსცენის მარჯვნივ მდებარეობს დერეფანი და შემდეგ მღვდელ-მთავრის ანნას სახლის წინაპირი კიბეებით; მარცხნივ მოსჩანს ასეთივე კიბეები პილატეს სახლისა. შიგნითა სცენა მოწყობილია ცხოველი სურათებისა და იმ სცენებისათვის, რომელთაც დეკორაციების გამოცვლა ესაჭიროება. წინა სცენის გასწვრივ ჩამწკრივდება ხოლმე გუნდი, აქავე ხდება მოქმედებები, რომელთაც დეკორაციების გამოცვლა არა სჭირია. როდესაც კი ხალხის ბრბო გამოდის და საჭიროა დიდი ადგილი, შიგნითა სცენა გაერთიანებულია გარე სცენასთან.

დილის 7½ საათზე ისმის ზარბაზანის ხმა, რომელიც ამცნებს ხალხს წარმოდგენის მალე დაწყებას. სრულ რვა საათზე გამოდის პროლოგი და გუნდი. მაყურებელთაგან დაფარული ორკესტრი უკრავს აკომპანიმენტს და გუნდიც მწყობრად გალობს ცოდვების გამოსყიდვაზე. შემდეგ ფარდა აიხდება და გამოჩნდება ცოცხალი სურათი—სამოთხიდან განდევნა პირველის ადამიანისა (სურათი მე-3). პროლოგი კი მელოდეკლამაციით ესალმება დამსწრეთ და სთხოვს მათ მთელი არსება მიაპყრან უზენაესს. აძის შემდეგ გუნდი გვერდებზე ჩამწკრივდება და შიგნითა სცენაზე გამოჩნდება მეორე ცოცხალი სურათი— იესოს ჯვარის თაყვანის ცემა. მოქმედება იწყება ბზობით. იესო ქრისტე მიემგზავრება იერუსალიმისაკენ. გარშემო მას ახვევია აუარებელი ხალხი. მხიარულის სიმღერით უფენენ ხის ტოტებსა და ტანისამოსს, ბავშვები მღერიან „ოსანას“ (სურ. მე-4). ფარისევლები შორი ახლოდან შიშით ადევნებენ თვალყურს. იესო ეკლესიაში ჩარჩებს შეამჩნევს. განრისხებული გამორეკავს მათ იქედან და წააქცევს მტრედების გალიას. ჩარჩები გონს მოვლენ, შურის ძიებას მოიწადინებენ. მათ ლევიტები აქეზებენ და ურჩევენ მღვდელ მთავარს მიმართონ საჩივრით. მეორე მოქმედებაში გუნდსა და პროლოგის შემდეგ გამო-

სურ. 6. მოციქული პეტრე.

ჩნდება ცოცხალი სურათი—მსჯელობა ძმებისა იოსების თავიდან მოცილების შესახებ. მოქმედება წარმოადგენს სინედრიონის კრებას. მღვდელ-მთავრებს და სინედრიონის წევრებს აშფოთებს ქრისტეს უცხო სიტყვები და მისდამი ხალხის თაყვანისცემა. ისინი ხედავენ იესოს საქციელში მამაპაპათა სარწმუნოების შებღალვას, ამიტომ გადასწყვეტენ იესო ციხეში ჩასვან, მაგრამ ხალხისა ეშინიათ და არ იციან, როგორ შეეპყრან. მათ დაეხმარება ჩარჩები. ერთი იმათგანი ამბობს, რომ ქრისტეს შეპყრობა შეიძლება იმის მიმდევარის შემწეობითაო.

მესამე მოქმედების წინ ისევ გუნდი და ცოცხალი სურათებია: პირველი სურათი წარმოადგენს ტოვიას მშობლებთან გამოთხოვებას, მეორე—ქალი სტირის საქმროს დაკარგვას. იესო ქრისტე ბეთანიის გზაზეა. ის და მოწაფენი მისი შედიან სიმონთან. მას აქვე დახვდება ლაზარე, რომელიც ამას წინედ გააცოცხლა იესომ. ლაზარე აფრთხილებს იესოს და ეუბნება, რომ ფარისეველებმა გადასწყვიტეს დაღუპვა და მახეს უგებენ. ტყუილად ეხვეწებიან მახლობელნი აქ დარჩენას; იესომ იცის რომ მოახლოვდა სატანჯველი წამი. ამ დროს გამოჩნდება მარიამ მაგდანელი. მას მიაქვს ძვირფასი ნელსაცხებელი, რომელსაც იესოს ფეხზე დაღვრის და შემდეგ თმებით მოსწმენდს. ზოგიერთები და განსაკუთრებით იუდა უკმაყოფილონი რჩებიან ასე უბრალოდ ძვირფას ნელსაცხებელის დაკარგვით. შემდეგ მოქმედებაში იესო იერუსალიმისაკენ მიემგზავრება. მას შეხვდება ლვთისმშობელი და ემუდარება, ნუ მიდის იერუსალიმს; მაგრამ იმის ხვეწნამაც არ გასჭრა: მამა ღმერთის ნება უნდა აღსრულდეს.

მეოთხე მოქმედება კვლავ ცოცხალი სურათით იწყება. მეფე არტაქსერქსი ასტინის ადგილს დედოფლად ხდის ესფირს შემდეგ შორით გამოჩნდება იერუსალიმი; ქრისტე სტირის იმის შავბედს და გაგზავნის მოციქულებს—პეტრეს და იოანეს, რათა წინდაწინვე მოამზადონ საღდგომო ბატკანი. აქ ისევ იუდა გამოჩნდება. მას ვერ დაუვიწყებია ძვირფასი ნელსაცხებელის ტყუილად დაკარგვა; იგი სწუხს იმაზე, რითი იცხოვრებენ მოწაფეები იესოს წასვლის შემდეგ. იუდა მარტოკა რჩება და განიზრახავს იესოს მიტოვებას; შემოსწრე-

ბული ჩარჩები, რომელნიც იესომ ეკლესიიდან გამორეკა და სინედრიონის აგენტი, რომელიც დიდი ხანია დაეძებს იუდას, აცდენენ მას და ქრისტეს გაცემისათვის ღირსეულ ჯილდოს ჰპირდებიან. იუდა ჯერ ყოყმანობს, მაგრამ ბოლოს დათანხმდება.

მეხუთე მოქმედება წარმოადგენს „საიდუმლო სერობას“ ისე, როგორც სახარებაშია. მოქმედების წინ კი გამოჩნდება ორი ეპიზოდი ძველი აღთქმიდან: მანანისა და ქანაანის ქვეყნის ხილის ბოძებას ხალხისათვის.

მეექვსე მოქმედების წინ ცოცხალი სურათი წარმოადგენს ძმებისაგან იოსების 30 ვერცხლად გაყიდვას. მოქმედებაში იუდა სინედრიონის წინაშეა; მიუღია 30 ვერცხლი და დარაჯებს ითხოვს ქრისტეს შესაპყრობლად. მიუხედავად იოსებისა და ნიკოდიმის პროტესტისა, ქრისტეს სიკვდილით დასჯას გადაუწყვეტენ.

მეშვიდე მოქმედების წინაც ორი ცოცხალი სურათია: პირველი— ადამი ოფლითა თვისითა ჰპოულობს პურსა თვისსა და, მეორე—არაკი კოცნის მაგივრად ამასეის ხმალს ჩასცემს. იუდა კი დარაჯებით მიიპარება გეთსიმანის ბაღში; შემდეგ გამოჩნდება იესოს ლოცვა ბაღში და შეპყრობა მისი.

ამით თავდება პირველი ნაწილი წარმოდგენისა. პირველი ნაწილი დაახლოვებით ორ საათზე თავდება; მეორე ნაწილი მხოლოდ ნასადილევს იწყება. მოქმედების წინ ცოცხალი სურათი გამოხატავს მეფე აქვს, რომელმაც წინასწარმეტყველ მიქელს სილა გაარტყა, როდესაც უკანასკნელმა მას სიმართლე უთხრა. მღვდელ მთავარი ანნა (სურათი მე-5) აღელვებული ელოდება ამბებს; მასთან მოდის იუდა და გაოცებული გაიკვრს, რომ იესოს, მის მასწავლებელს, სიკვდილით დასჯა მოელის. იუდა შეძრწუნდება, მაგრამ საქმე უკვე გათავებულია და მის შეჩერება შეუძლებელია. ანნა ეკითხება იესოს, მაგრამ უკანასკნელი ამაყად უპასუხებს, რომ იგი თავის მცნებას არ მალავდა. ამისათვის მხედარი სილას გაარტყამს მას. ანნასაგან ქრისტე კაიაფასთან მიჰყავთ. პეტრე (სურათი მე-6) და იოანე შორით ადევნებენ თვალყურს; მათ შეამჩნევს ერთი მწიგნობართაგანი... ისინი ძლივს ასცდებიან ხიფათს.

მეცხრე მოქმედების წინ ცოცხალი სურათი წარმოადგენს იობის ტანჯვას, როდესაც იგი მიატოვეს ცოლმა და მეგობრებმა. მოქმედებაში სწრაფად იცვლება რამდენიმე სურათი. დარაჯები მიათრევენ იესოს ქუჩაში კაიაფას სახლისაკენ, სადაც ღამის ბჭობაა გამართული; მიხდება მოწმეების შეკითხა. მიმართავენ კანონებს და გამოარკვევენ, რომ დანაშაულობა, რომელიც იესოს მიაწერეს, სიკვდილით ისჯება. კაიაფა სინედრიონის საბოლოო კრებას დილით ადრე ნიშნავს, შემდეგ სურათში ისევ იუდა გამოჩნდება. სინიდისის ქენჯნის გამო ველარ ისვენებს ერთ ალაგას და დაძრწის. შემდეგ სცენაში პეტრე შოკიქული კაიაფას ეზოში უარჰყოფს იესოს. მოქმედება თავდება მხედრებისაგან იესოს წვალებით და გაკიცხვით.

მეათე მოქმედების წინ გამოჩნდება ცოცხალი სურათი, რომელიც გამოჰხატავს მოკლულ აბელის გვამის წინ მდგომ კაინს. მოქმედება იწყება იუდას გამოსვლით, რომელიც სწყევლის სინედრიონს და ფულის უკან დაბრუნებას გადასწყვეტს. იგი შეიპრენა სინედრიონის კრებაზე და გაიგებს, რომ გადადაწყვეტილების დარღვევა შეუძლებელია. ლანძღვა გინებით გადაუყრის სინედრიონის წევრებს ვერცხლებს და გამოვარდება დარბაზიდან. შემდეგ შემოჰყავთ იესო ქრისტე, და სინედრიონი წაუკითხავს მას განაჩენს, მაგრამ სასჯელის დამტკიცება და შესრულება მხოლოდ საერო მთავრობას შეუძლია; ამიტომ სინედრიონის წევრები გადასწყვეტენ პილატესთან მიაღწიონ საწადელს, სიკვდილის დასჯის დამტკიცებას. უკანასკნელ სურათში იუდას თავის დაღრჩობა განუზრახავს და ფარდა ეშვება მაშინ, როდესაც იგი უკვე შეუდგება ამ საქმეს.

მეთერთმეტე მოქმედების წინ ცოცხალ სურათში მოსჩანს დანიელის ბრალდება მეფე დარიას წინ. მოქმედებაში კი დარაჯებს იესო პილატეს სასახლესაკენ მიჰყავთ. უკან ხალხის ბრბო ასდევნებია. მღვდელ-მთავრებს ანნასა და კაიაფას არა რცხვენიათ პირადად გამოსვლა მოწმეებად. მაგრამ პილატე თვით გამოჰკითხავს და ვერა სცნობს ქრისტეს დანაშავედ. როდესაც გაიგებს, რომ ქრისტე გალილეელია, იგი სარგებლობს შემთხვევით, რათა თავიდან აიცდინოს უსიამოვნო საქმე. გალილეის მმართველი ირონდი სწორედ ეხლა ჩამოვიდა აქ დღესასწაულზე დასასწრობად და იმან უნდა გაარჩიოს ეს საქმე...

მეთორმეტე მოქმედებაში ირონდი ელოდება ქრისტესაგან სასწაულის მოხდენას, როგორც თვალთ მაქცობას, მაგრამ იმედები უცრუვდება. იესო ყველა მის კითხვებზე დუმილით უპასუხებს. ნუ თუ ასეთი კაცი აცხადებდა თავის თავს მეფედაო, გაკვირვებულია ირონდი.—სულელების მეფედ —შეიძლება! მაგრამ ეს ხომ დანაშაული არ არის, და თუ მღვდელ-მთავრები კიდევ დაბეჯითებით, განაგრძობენ იმის სიკვდილის დასჯის ცდას, ისევე პილატეს მიმართონო. მოქმედების წინ კი ცოცხალი სურათი ხატავს სამსონს, ფილისტიმელების ტყვეობაში.

მეცამეტე მოქმედების წინ გამოჩნდება ორი ცოცხალი სურათი. იაკობს აჩვენებენ იოსების სისხლით დასვრილს ტანისამოსს, მეორე კი—ჯაგებში გახლართული ვერძი აბრამის წინ. ისევ ბრბო გამოჩნდება, რომელიც ანნასა და კაიაფას მეთაურობით მიეშურება პილატეს სასახლისაკენ. პილატის სურს მხოლოდ ხორცით სასჯელით დაკმაყოფილდეს, მაგრამ ბრბოსათვის ეს ცოტაა. მაშინ მას მოუვა შემდეგი აზრი: დღესასწაულის გულისათვის ბრბოს ამორჩევით განათავისუფლოს ერთ ერთი დამნაშავეთაგანი, დარწმუნებულია, რომ ხალხი იესოს განათავისუფლებს, მაგრამ ხალხი, სამღვდელოების ჩაგონებით, ბარაბას ირჩევს. უკანასკნელ სურათში მხედრები ადგამენ იესოს ეკლის გვირგვინს და სცემენ მას.

მე-14 მოქმედების წინაც ორი სურათია: პირველი— ფარაონი ნიშნავს იოსებს ეგვიპტეს უფროსად და მეორე —ეკლესიაში მსხვერპლის ამორჩევა ორ ცხვარს შუა.

პილატემ ხელები დაიბანა ამ საქმეში. ხალხის მოთხოვნით გაანთავისუფლეს ავაზაკი ბარაბა, ქრისტეს კი ჯვარსცმა გადაუწყვიტეს.

მეხუთმეტე მოქმედების წინ ორი სურათია: ისაკი სამსხვერპლო შეშის ტვირთით ზურგზე, მთაზე ადის; მეორე კი—მოსეს მიერ აღმართული სპილენძის გველი.

ტანჯულ ქრისტეს ზურგით ჯვარი მოაქვს; მას გარს ახვევია დარაჯები და ხალხი ბრბო. აქ მას შეხვდება მარიამი თანამგზავრ ქალებით; ვერონიკა თავის ხელსახოცით იესოს შუბლიდან ოფლსა სწმენდს. ჯვრის ატანაში იესოს მიეშველება სიმონ კირინელი.

ამ მოქმედების შემდეგ ცხოველი სურათები აღარ არის; მხოლოდ გამოჩნდება შავებით მოსილი გუნდი. შემდეგ მოხდება ჯვარცმა. ჯვარს მიჭედილი იესოთი აღმართავენ და გაამაგრებენ ორ ავაზაკთა შორის. მღვდელ-მთავრები არ არიან კმაყოფილნი იესოს ჯვარზე ზედწარწერით; მხედრები იესოს ტანისამოსს იყოფენ; იესოს გარდაცვლას თან მოსდევს მიწის ძვრა; ბრბო შიშით აქეთ-იქით გაიფანტება. შემდეგ მხედარი იესოს გვერდს გაუპობს, რათა დარწმუნდეს მის სიკვდილში. იესოს მიმდევარნი მიდიან პილატესთან და სთხოვენ მის დასაფლავების ნებას. იოსები, ნიკოდიმი და იოანე ცხედარს ჯვარიდან ჩამოხსნიან და შესუდრავენ.

მეჩვიდმეტე მოქმედება წარმოადგენს აღდგომას.

შემდეგ გამოჩნდება დიდებული ეპოთეოზი—ამაღლება, რომლის დროსაც ისმის გუნდის მხიარული გალობა.

ამით თავდება ეს მისტერია, ერთად ერთი ნაწარმოები, რომელიც ამდენ მითქმა მოთქმას იწვევს. რასაკვირველია იმ დიადი შთაბეჭდილების გადმოცემა ჟურნალის ფურცლებზე, რომელის შესახებ ყოველი პირადი მნახველი ლაპარაკობს, შეუძლებელია. მხოლოდ ერთი რამ კი უეჭველია: ის რომ ეს მისტერიები თან და თან ჰკარგავს იმ ხასიათს, რომელიც მათ ქონდა ამ საუკუნის წინედ. თუ წინედ არ მეორდებოდა იგი, ეხლა თითქმის ათჯერ და ოცჯერ მეორდება და ქრისტეს როლის აღმასრულებელი ანტონ ლანგი წელს მილიონ დოლარათ სათამაშოდ მიიწვიეს ამერიკელებმა. მიუხედავად ამ მცირედი ცვლილებისა, კიდევ დიდხანს იქნება „ობერამერგაუ“ საერთო ყურადღების საგნად; მუდამ აღტაცებაში მოიყვანს დამსწრეთ ეს საუცხოვო წარმოდგენა და მუდამ გააოცებს მნახველთ აქაური მცხოვრებნი, თავისი კლასიკური, დინჯი სახეთი და გრძელი თმებით, რომლის გამოც მათ არ სჭირიათ წარმოდგენებისათვის არც გრიმი და არც „კოსმეტიკის“ დახმარება.

სო—ლი.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი. მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი“